

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი

11.08.2016

სხდომას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მაგდა მალრაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თუთა ნარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
ლევან გორდუზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი.
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ნანა მათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

თამარ ვეფხვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
კახაბერ ლორია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სენატის სპიკერი;
ნინო ჟვანია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო პატარია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
გიორგი გვალია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
კონსტანტინე ჩოკორაია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.



ს. ს. ს. ს.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):
მაკა კაჭარავა;
ნიკოლოზ ახალკაცი;
მარინე მაისურაძე;
ნანა იაშვილი;
ვასილ კიკუტაძე;
რამაზ ქურდაძე;
ნინო ლაღანიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 13:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო და კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურბანისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკანდინავისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, ტურიზმი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალური რესურსების და ენერგეტიკის მართვისა და მდგრადი განვითარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების - ევროპა და ახლო აღმოსავლეთის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.



დღის წესრიგთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ხომ არ ჰქონდა ცენტრს ან დაინტერესებულ მხარეებს შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარდგენილი არ ყოფილა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.


წ. ნ. ნ. ნ.

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურბანისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: ურბანისტიკა

განათლების საფეხური: დოქტორანტურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ურბანისტიკის დოქტორი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 180

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

აცილება განაცხადეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: ლევან გორდეზიანმა და ნანა შათაშვილმა, ვინაიდან ისინი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან იმყოფებოდნენ შრომით ურთიერთობაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა მარინე მაისურაძემ და ნანა იაშვილმა.

- სასწავლო კურსის სილაბუსის: „სადოქტორო კვლევის/პროექტის დიზაინი“ დანართის: სასწავლო კურსის შინაარსის მე-13 პუნქტში გამოვლენილი იყო ენობრივად ტექნიკური უზუსტობის შემცველი ჩანაწერი. ვიზიტის დროს, საგნის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ, აღნიშნული პუნქტი იკითხებოდა: - მდგრადი ლანდშაფტური დაგეგმარება, მდგრადი ენერგეტიკა, სოციალური თანასწორობა და ენვირონმენტული სამართლიანობა; ჩასწორებულ იქნა შემდეგი რედაქციით: - მდგრადი ლანდშაფტური დაგეგმარება, მდგრადი ენერგეტიკა, სოციალური თანასწორობა და გარემოსდაცვითი სამართლიანობა.

- უკანასკნელ წლებში ნათლად იყო გამოკვეთილი ურბანისტიკის ინტერ დისციპლინური ხასიათი, რაც გამოიხატებოდა ურბანისტულ კვლევებში სხვადასხვა დარგების მიღწევათა (არქიტექტურა, ლანდშაფტური არქიტექტურა, გეოგრაფია, ეკოლოგია, ეკონომიკა, სოციოლოგია და მოსახლეობის დემოგრაფია) ფართო დანერგვით. ურბანისტები, როგორც ინფორმირებული და ქალაქის განვითარების უახლესი ტენდენციების მცოდნე პროფესიონალები, მუშაობენ საქალაქო საკითხების/ურბანისტიკის ისეთ სფეროებში, სადაც საჭირო იყო თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობა და სოციალურად რელევანტური ხედვის ქონა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველი იყო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სემინარების არჩევითობის გამრავალფეროვნების თვალსაზრისით, სემინარების არჩევით კურსებში მოაზრებული ყოფილიყო, როგორც ჰუმანიტარული დარგის უნარების შემცველი კურსები,



ასევე, ქალაქგეგმარებით და ინჟინერიის უნარების შემცველი კურსები, რაც პროგრამას დაეხმარებოდა მრავალფეროვნებით ხასიათის გაძლიერების მეტად განსაზღვრაში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რომ არჩევითი და სავალდებულო კურსების ნუსხაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ სამი ლექტორის ვინაობა. საინტერესო იყო, რატომ არ იყო მითითებული ვინ ასწავლიდა აკადემიურ წერას, სწავლების მეთოდებს, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და სხვა საგნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებდა სადოქტორო პროგრამების განხორციელების სტანდარტი, რაც გახლდათ უნივერსალური დოკუმენტი, შესაბამისად ამის საფუძველზე ის საუნივერსიტეტო დისციპლინები, რომლებიც სავალდებულო იყო ყველა პროგრამისათვის წარმოდგენილი იყო პროგრამასთან ერთად სწორედ დოქტორანტურის სტანდარტში. კერძოდ, პროგრამაში აღნიშნული კურსების არ იქნა გაწერილი ვინაიდან აღნიშნული გახლდათ შემავალი დისციპლინების ბლოკი აბსოლუტურად ყველა სადოქტორო პროგრამისათვის და მათი წარმოდგენა პროგრამების მიხედვით არ იყო მიზანშეწონილი. რაც შეეხებოდა დარგობრივ კურსებს დოქტორანტურის სტანდარტის მიხედვით დარგობრივი კურსების ბაზის გამრავალფეროვნება სამომავლოდ ნამდვილად წადგებოდა პროგრამას და აღსანიშნავი იყო, რომ თავად პროგრამა გახლდათ ტემპუსის გრანტის პროგრამა, რომელიც განხორციელდებოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციის საფუძველზე მოხდებოდა დარგობრივი არჩევითი სავალდებულო კურსების გამრავალფეროვნება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როდესაც დოქტორანტი ჩააბარებდა და აიღებდა კურიკულუმს, შესაბამისად მას უნდა აერჩია მაგალითისათვის აკადემიური წერა. დოქტორანტს ეცოდინებოდა თუ არა წინასწარ განსაზღვრული ცხრილის მიხედვით, თუ ვინ ასწავლიდა აღნიშნულ სასწავლო კურსს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფაკულტეტი ან ხელმძღვანელი მიაწვდიდა სტუდენტს ინფორმაციას იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა მას გასავლელი აკადემიური წერა. ზოგად საუნივერსიტეტო კურსებს ჰყავდათ კონკრეტული პერსონალი, თუმცა დარგობრივი აკადემიური წერა გათვალისწინებული იყო მხოლოდ სამართლის ფაკულტეტზე, ვინაიდან პროფესიული თავისაზრისით მათ სჭირდებოდათ აღნიშნული კურსი, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში, აკადემიური წერა წარმოდგენილი იყო საუნივერსიტეტო საგნად და წინასწარ იყენებდნენ განსაზღვრულნი ის ლექტორები, ვინც კითხულობდნენ მას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, შედეგების მიხედვით, აღნიშნული პროგრამა შედიოდა სოციალურ მეცნიერებებში, თუ იგი გახლდათ ინტერ დისციპლინური.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა გახლდათ ინტერ დისციპლინური, კვალიფიკაციათა ჩარჩოში და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანადგომით მოხდა კვალიფიკაციის ცვლილება, ამიტომ უკვე ხდებოდა ურბანისტიკის დოქტორის კვალიფიკაციის მინიჭება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ შემოდგომის სემესტრიდან დოქტორანტებისთვისაც ჩაეშვებოდა ახალი ბაზა, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებდა სასწავლო პროცესის ადმინისტრირებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა სახით იყო პროგრამაში ჩართული უცხოელი პროფესორი, რომელიც გახლდათ პროგრამის თანა ხელმძღვანელი და რა დროს გაატარებდა ის საქართველოში. საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რა კუთხით იყო აღნიშნული პირი ჩართული პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლისაბონის უნივერსიტეტთან გაფორმებული იყო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც,



სამომავლოდ იგეგმებოდა ორმაგი დიპლომის გაცემა. შესაბამისად, ორივე პროგრამის ხელმძღვანელს ჰქონდა სურვილი, რომ ორ პროგრამას შორის არ ყოფილიყო ხარისხობრივი განსხვავება. შესაბამისად, პროგრამის თანა ხელმძღვანელი პროგრამის პროცესში იყო აქტიურად ჩართული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს პროგრამაში ეთმობოდა 120 კრედიტი და იგი დაყოფილი იყო წლების მიხედვით და ყოველი ცლის ბოლოს სტუდენტი ვალდებული იყო წარმოედგინა კომისიის წინაშე ანგარიში. კომისიის ყოველ სხდომას ვიდეო კონფერენციის სახით დაესწრობოდა პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორიც. 120 კრედიტის დაშლა გახლდათ თავად ტემპუსის მოთხოვნა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა პროგრამაზე და იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ პროგრამაზე ჩააბარებდა არქიტექტორი, რომელსაც ექნებოდა სურვილი გაეგრძელებინა კვლევა ურბანული დაგეგმარების ჭრილში და ექნებოდა სურვილი ხელმძღვანელი ყოფილიყო აღნიშნული სფეროს წარმომადგენელი თუ მოიწვევდა ლექტორს უნივერსიტეტი კონკრეტული შემთხვევებისთვის. აკრედიტაციის ექსპერტმა ნანა იაშვილმა განაცხადა, რომ როდესაც გაეცნო პროგრამას, მასაც გაუჩნდა ანალოგიური კითხვა, ხოლო როდესაც შეთავაზებული იქნა არჩევითი კომპონენტების გამრავალფეროვნება მასში ასევე მოიაზრებოდა ექსპერიმენტიც, რომელშიც ჩაერთვებოდა დოქტორანტი და თუ შედეგობა ასეთი თანამშრომლობა აღნიშნული იქნებოდა ძალიან საინტერესო ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელს ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობა მითითებული სფეროს ექსპერტებთან, გაფორმებული იყო მემორანდუმები და ორივე მხარე მზად იყო თანამშრომლობისთვის.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, საწყისი ეტაპისათვის იგეგმებოდა 5 დოქტორანტის მიღება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა საკმარისი იქნებოდა თუ არა პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უცხო ენის ფლობის დონის B2-ით განსაზღვრა, მაშინ როდესაც პროგრამას ჰყავდა უცხოელი პარტნიორები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თავად პორტუგალიელებს პროგრამაზე მიღების წინაპირობად მოთხოვნილი ჰქონდათ ინგლისური ენის ფლობის B1 დონე, შესაბამისად მათ მიერ მოთხოვნილი დონე სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო ურთიერთთანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურბანისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურბანისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.



2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკანდინავიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: სკანდინავიკისტიკა

განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სკანდინავიკისტიკის მაგისტრი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

აცილება განაცხადეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: ლევან გორდეზიანმა და ნანა შათაშვილმა. ვინაიდან ისინი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან იმყოფებოდნენ შრომით ურთიერთობაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა მაკა კაჭარავამ და ნიკოლოზ ახალკაცმა.

- სასწავლო კურსების ძირითად ნაწილში მითითებული იყო ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც ვიზიტის დროს შერჩევის პრინციპით გადამოწმებული იქნა და იყო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და სკანდინავიკისტიკის ცენტრში, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და პროგრამის ხელმძღვანელს პირადი საქმეებით დასტურდებოდა ინგლისური ენის ფლობის მაღალი დონე (შესაბამისი სერტიფიკატებით, პრაქტიკული გამოცდილებით, წაკითხული ლექციებით, ინგლისურენოვანი საერთაშორისო და ადგილობრივი პუბლიკაციებით, მიღებული განათლებით, მინიჭებული კვალიფიკაციებით, მთარგმნელობითი საქმიანობით და სხვ.) და ასევე პროგრამის წინაპირობის თანახმად, მაგისტრანტების კანდიდატს უნდა ჰქონოდა ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონე. თუმცა მიუხედავად ამისა, პროგრამის სწავლების ენიდან გამომდინარე, სადაც მითითებული იყო ქართული ენა, სასურველი იქნებოდა სამომავლოდ შექმნილიყო ლექტორის რიდერები და/ან გამოცემულიყო ძირითადი სახელმძღვანელოების ქართული თარგმანები და ელექტრონული ვერსიები.

- როგორც ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს გამოიჩვენა, აკადემიური წერა არ იყო სავალდებულო სასწავლო კურსად ჩადებული სამაგისტრო საფეხურზე საფაკულტეტო რეგულაციებში, თუმცა რიგ სამაგისტრო პროგრამებში ისწავლებოდა აკადემიური წერა, რაც დასტურდებოდა უნივერსიტეტის ვებგვერდით (tsu.edu.ge). ექსპერტების აზრით, აკადემიური



წერა მაგისტრანტებისათვის კვლევის მეთოდების კომპონენტებით კიდევ უფრო გაამდიდრებდა აღნიშნულ პროგრამას და მაგისტრანტს მისცემდა საშუალებას აემაღლებინა სამეცნიერო (აკადემიური) ტექსტის (სამაგისტრო ნაშრომი) წერის, რეფერირების, ანოტირების და ზოგადად კვლევის უნარები.

- სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმაში არჩევით სასწავლო კურსებს ეთმობოდა 20 კრედიტი და აღნიშნული პუნქტი სრულიად აკმაყოფილებდა პროგრამის ერთ-ერთ სტანდარტს არჩევითობის პრინციპის დაცულობის კუთხით, ვინაიდან პროგრამა სთავაზობდა მაგისტრანტს 13 არჩევით სასწავლო კურსს, მათ შორის 4 სასწავლო კურსი გახლდათ სკანდინავიისტიკის სფეროდან, ხოლო დანარჩენი სასწავლო კურსები - უნივერსიტეტის სხვა აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამებიდან იყო შეთავაზებული, რაც კიდევ უფრო მრავალფეროვანს გახდიდა მაგისტრანტის მიერ არჩეულ პროფილს, თუმცა ამავე სასწავლო გეგმის სემესტრულ განაწილებაში არჩევითი სასწავლო კურსები დაკონკრეტებული იყო და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ აღნიშნული ატარებდა სარეკომენდაციო ხასიათს. სასურველი იყო, რომ აღნიშნული დაკონკრეტება არ მომხდარიყო, ვინაიდან არც ერთ არჩევით საგანს არ ჰქონდა დაშვების წინაპირობა და შეიძლებოდა ნებისმიერი მათგანის აღება მაგისტრანტის სურვილის მიხედვით სწავლის პროცესში 1-3 სემესტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას ჰქონდა შექმნის წინაპირობა ვინაიდან უნივერსიტეტში უკვე ხორციელდებოდა სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო და მაინორ პროგრამები, რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა აკადემიურ წერას როგორც სავალდებულო კომპონენტს, აღნიშნულ პროგრამაში იმიტომ არ იყო აკადემიური წერა, რადგანაც პროგრამა გახლდათ ინტერ დისციპლინური, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განსხვავებით სადოქტორო საფეხურისაგან სამაგისტრო საფეხურზე ისწავლებოდა დარგობრივი აკადემიური წერა ვინაიდან სხვადასხვა დარგი, კვლევის მიმართულება გულისხმობდა განსახვავებულ მეთოდებს, ამიტომაც პროგრამის ინტერ დისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე არ ისწავლებოდა ერთი კონკრეტული იმპერატიული კურსი, თუმცა პროგრამაში შედიოდა ცალკეული სასწავლო კურსები, რომლებშიც ჩაშენებული იყო აკადემიური წერის კომპლექსური შესწავლის თემატიკები, კერძოდ სამეცნიერო აპარატი, პლაგიატის და ციტირების წესები, რეფერატები, აბსტრაქტის წარდგენა და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა უცხო ენების არჩევა რის მიხედვით მოხდა პროგრამაში, ასევე რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა პროგრამაზე და ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ამ მიმართულებით ჩატარებული ბაზრის კვლევა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შერჩეული იყო ორი უცხო ენა, პრინციპი გახლდათ მარტივი, სკანდინავიის რეგიონში შედიოდა ხუთი სახელმწიფო, რაც შეეხებოდა ფინეთს ფინური ენა არ გახლდათ სკანდინავიური კუთხის ენა, ხოლო დარჩენილი სახელმწიფო ენები ლინგვისტური კუთხით გახლდათ სკანდინავიური. აღნიშნული სახელმწიფოების ენებს შორის შუალედური ენა გახლდათ ნორვეგიული, რომლის გაგება თავისუფლად იყო შესაძლებელი ყველა სახელმწიფოში. ვინაიდან, ფინური გახლდათ სხვა რეგიონის ენა მიზანშეწონილად იქნა ჩათვლილი შეთავაზებული ყოფილიყო აღნიშნული ორი ენა ნორვეგიული და ფინური. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ერთ-ერთი ენის არჩევა, ხოლო მეორე ენის აღება სტუდენტს შეეძლებოდა არჩევითი საგნის სახით. რაც შეეხებოდა სტუდენტების რაოდენობას მოიაზრებდნენ მინიმუმ 5 სტუდენტის მიღებას. პროგრამის ხელმძღვანელის ჩანაფიქრით, თუ პროგრამა სათანადოდ ამუშავდებოდა, შესაძლებელი იქნებოდა მისი ინგლისურენოვან პროგრამად გადაკეთება, რაც შესაძლებლობას მისცემდა მათ მიეღოთ არა მხოლოდ



ს. ბ. ბ. ბ.

საქართველოს მოქალაქე სტუდენტები, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც, რაც შეეხოდა მესამე რეკომენდაციას არჩევითი საგნის სემესტრულად გადანაწილება იყო პირობითი და მისი შეცვლა არ წარმოადგენდა პრობლემას.

დასაქმების სფეროს შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოში ფუნქციონირებდა სკანდინავიის ქვეყნების სამი საელჩო, აღსანიშნავი იყო ასევე საგარეო საქმეთა სამინისტრო და ბიზნეს კომპანიებშიც არსებობდა სკანდინავიური ენების სპეციალისტის მოთხოვნის ტენდენცია. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა საგარეო საქმეთა სამინისტრო თუ იყო ჩართული კურიკულუმის შედგენაში, როგორც ერთ-ერთი დამსაქმებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურიკულუმი შედგენილი იყო სკანდინავისტიკის პროგრამების მიხედვით სკანდინავიის ქვეყნების უნივერსიტეტების ანალოგიით და მათი გამოცდილების გაზიარებით. ასევე, უნივერსიტეტის პროფესორები სხვადასხვა დროს იყვნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები და მათთან კონსულტაციების შედეგად იქნა შედგენილი პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკანდინავისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკანდინავისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, ტურიზმი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, ტურიზმი)

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში/ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში

სწავლების ენა: ინგლისური

კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

აცილება განაცხადეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: თამარ ბრეგვაძემ და რევაზ სოლომონიამ, ვინაიდან ისინი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან იმყოფებოდნენ შრომით ურთიერთობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შენიშვნები საბჭოს წარუდგინა აკრედიტაციის ექსპერტმა ვასილ კიკუტაძემ.

- სასურველი იყო განხორციელებულიყო პროგრამაში შემავალი დისციპლინების სილაბუსებში წარმოდგენილი დარგობრივი კომპეტენციების დაჯგუფება განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის სწავლის შედეგების აღმწერის მიხედვით, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემდა უფრო ნათლად დაენახათ მოსალოდნელი სწავლის შედეგები;

- სასურველი იყო პროგრამის კურიკულუმის შედგენის დროს არ მომხდარიყო თავის შეკავება კრედიტების დიფერენციაციისაგან ცალკეული დისციპლინების შემთხვევაში, რაც კიდევ უფრო მოქნილს გახდიდა პროგრამის კურიკულუმს;

- საჭირო იყო პროგრამაში შემავალი ცალკეული დისციპლინების სილაბუსებში მითითებულ სასწავლო ლიტერატურას მიწერილი ჰქონოდა გამოცემის წელი, რაც გაზრდიდა პროცესის გამჭვირვალობას და სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხს;

- სასურველი იყო კომპონენტს „საერთაშორისო ფინანსები“ თავისი შინაარსიდან გამომდინარე წოდებოდა „საერთაშორისო ეკონომიკა“ ხოლო კომპონენტს „საერთაშორისო ფინანსური ბაზრები“ წოდებოდა „ფინანსური ბაზრები“;

- საჭირო იყო კომპონენტისათვის - მენეჯერული აღრიცხვა, წინაპირობად დამატებოდა ფინანსური აღრიცხვა. კომპონენტისათვის - „ორგანიზაციული ქცევა“, „ადამიანური



რესურსების მართვა", „ლოჯისტიკა“, „ცვლილებების მენეჯმენტი“ წინაპირობად დამატებოდა მენეჯმენტის საფუძვლები. კომპონენტისათვის - „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ წინაპირობად განსაზღვრულიყო „სტატისტიკა“. კომპონენტისათვის - „ბრენდინგი“ წინაპირობად განსაზღვრულიყო კომპონენტი „მარკეტინგი“. კურსისათვის - „საბანკო ქეისები“ წინაპირობად განსაზღვრულიყო საბანკო საქმის შემსწავლელი კურსი. კომპონენტისათვის - „საერთაშორისო ფინანსები“ წინაპირობად განსაზღვრულიყო „მაკროეკონომიკა“ და „ფინანსები“.

- სასურველი იყო პროგრამის მდგრადობის გაზრდის მიზნით, გაზრდილიყო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა, ვინაიდან პროგრამაში ჩართული პერსონალის უდიდესი ნაწილი წარმოადგენდა მოწვეულ პერსონალს.

- კომპონენტებისათვის „კალკულუსი 1“ და „კალკულუსი 2“ მითითებული იყო მხოლოდ ქართულენოვანი ლიტერატურა. საჭირო იყო მითითებული ყოფილიყო ინგლისურენოვანი ლიტერატურაც, რადგან პროგრამა იყო ინგლისურენოვანი. ასევე, კომპონენტის „მენეჯმენტის საფუძვლები“ ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებული იყო „ორგანიზაციული ქცევის“ და „სტრატეგიული მენეჯმენტის“ სახელმძღვანელოებიც. სასურველი იქნებოდა აღნიშნული სახელმძღვანელოები ამოღებულიყო ყოფილიყო მოცემული კომპონენტის ლიტერატურის სიიდან, რადგან მოცემული კომპონენტი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელოების შესაბამისი კომპონენტების წინაპირობას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართული იყო 33 მოწვეული და 7 ადგილობრივი აკადემიური პერსონალი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ ფაკულტეტს შეემატა 4 ახალი აკადემიური პერსონალი, რომლებიც ჩართულები იქნებოდნენ პროგრამაში. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ არ ჰყავდა დაწესებულებას პროგრამაში ჩართული უფრო მეტი აკადემიური პერსონალი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვიზიტამდე მათ ჰყავდათ 15 ადგილობრივი ლექტორი, ხოლო პროგრამაში წარმოდგენილი 7 პროფესორი კურირებდა პროგრამაში არსებულ თითოეულ მიმართულებას. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი განისაზღვრა მათი პროფესიული გამოცდილებიდან ბიზნეს ადმინისტრირების კუთხით და ენის ფლობის დონიდან გამომდინარე, ასევე დაგეგმილი იყო პროგრამის ყოველწლიურად გადახედვა და მასში ჩართული პერსონალის განახლება.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა არსებული ადგილობრივი აკადემიური პერსონალი, ხომ არ იყო იმავდროულად სხვა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიც, კერძოდ, ხომ არ ეკავათ სხვა დაწესებულებაში პროფესორის თანამდებობა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო ზოგიერთი მათგანი ყოფილიყო სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი, თუნდაც პროფესორიც.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ საბაკალავრო საფეხურის პროგრამაში მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალის ჩართვა არ იყო მიზანშეწონილი, ვინაიდან, პერსონალს ასევე უნდა ჰქონოდა პედაგოგიური გამოცდილებაც. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდესაც ხდებოდა აკადემიური პერსონალის დაკომპლექტება პრაქტიკულ გამოცდილებას მიენიჭა დიდი მნიშვნელობა, თითქმის ყველა პროგრამაში ჩართულ ლექტორს ჰქონდა 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება და ზოგიერთ მათგანს ასევე ჰქონდა დოქტორის აკადემიური ხარისხიც.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქმის მასალების შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალის უმრავლესობას არ ჰქონდა დოქტორის აკადემიური ხარისხი.



დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბაკალავრო საფეხურზე არ იყო მოთხოვნა რომ პერსონალს აუცილებლად ჰქონოდა დოქტორის ხარისხი, თუმცა მოწვეული პროფესორებისგან განსხვავებით 7 ადგილობრივ პერსონალს ჰქონდა დოქტორის ხარისხი.

საბჭოს თავმჯდომარემ დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ პროგრამა არ იყო სათანადოდ მომზადებული და კითხვით მიმართა აკრედიტაციის ექსპერტს, აკმაყოფილებდა თუ არა პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებს. ექსპერტმა განაცხადა, რომ თუ მოხდებოდა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციებისა და შენიშვნების გათვალისწინება და გამოსწორება, პროგრამა დააკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა გახლდათ ახალი და პილოტირების თვალსაზრისით პროგრამას სჭირდებოდა განვითარება. უნივერსიტეტში უკვე ფუნქციონირებდა ბიზნეს ადმინისტრირების ქართულენოვანი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო საკმაოდ გამოცდილი აკადემიური პერსონალით, ხოლო ინგლისურენოვანი გახლდათ მისი ანალოგი პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები მათი აზრით ატარებდა ტექნიკურ ხასიათს. კერძოდ, კომპეტენციები, რომლებიც გაწერილი იყო სილაბუსებში არ არღვევდა სტანდარტის მოთხოვნებს. სტანდარტის მოთხოვნებით იქნა გათვალისწინებული კრედიტებიც, კერძოდ 6 კრედიტი. რაც შეეხებოდა ლიტერატურას, გამოსწორებული იქნა.

სწავლის დაწყების წინ ელექტრონულ რეჟიმში იტვირთებოდა ყველა სილაბუსი და სასწავლო რესურსი და დამატებითი ლიტერატურა. გაწერილი იყო თემატიკა თუ რა სასწავლო კურსებს სთავაზობდნენ სტუდენტებს, პირველი კურსის პირველ და მეორე სემესტრში იყო ზოგადი კურსები ხოლო მენეჯმენტის ძირითადი საგნების შეთავაზება იწყებოდა მეორე კურსის პირველ და მეორე სემესტრებში, გამახვილებული იყო ყურადღება მენეჯმენტის საფუძვლებზე და მარკეტინგზე, მენეჯმენტის საფუძვლები და ფინანსების საკითხები წინ უსწრებდა ყველა დანარჩენ მენეჯმენტის მომცველ საგნებს, საბოლოო ჯამში აღნიშნული საგნები წარმოადგენდნენ ერთგვარ წინაპირობას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რატომ გადაწყდა ინგლისურენოვანი პროგრამის შექმნა როდესაც არსებობდა ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ დაწესებულებაში უკვე ჰყავდათ უცხოელი სტუდენტები, რაც განაპირობებდა იმას, რომ შეექმნათ რამდენიმე ქართულენოვანი პროგრამის ინგლისურენოვანი ანალოგი. მათ ასევე ჰქონდათ გაცვლითი პროგრამები უცხოეთის რამდენიმე უნივერსიტეტთან. შესაბამისად, სტუდენტებს აკადემიური თანამშრომლობის ფარგლებში ექნებოდათ საშუალება ერთი სემესტრის მანძილზე მიეღოთ მონაწილეობა აღნიშნულ გაცვლით პროგრამებში და ესწავლათ საზღვარგარეთ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი იყო სწავლის საფასური და სად გაივლიდნენ სტუდენტები პრაქტიკას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწავლის საფასური შეადგენდა 3 500 დოლარს. პრაქტიკის კუთხით გაფორმებული იყო მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ტურიზმის მიმართულებით ტურისტულ სააგენტოებთან, სასტუმროებთან, საქართველოს რკინიგზასთან და ა.შ.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა, საბაკალავრო ნაშრომი იყო სავალდებულო სახით წარმოდგენილი, თუ მოთხოვნილი იყო როგორც არჩევითი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბაკალავრო ნაშრომი იყო სავალდებულო, რომელიც იყო ორიენტირებული პრაქტიკულ კომპონენტზე ჯგუფური სახით წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა ფორმით ხდებოდა უცხოელი სტუდენტების მოზიდვა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი თანამშრომლობდნენ სააგენტოებთან, ასევე სურვილს გამოთქვამდნენ იმ უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთანაც უკვე ჰქონდა თანამშრომლობა უნივერსიტეტს.



საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი აზრით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის, განსაკუთრებით აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს აკრედიტაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, ტურიზმი) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, ტურიზმი) ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განუმარტა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ საბჭოს წევრების და მისი აზრით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა გახლდათ საკმაოდ მძიმე, კერძოდ, პროგრამა არ იყო მზად აკრედიტაციისათვის, კერძოდ არსებით შენიშვნად იქნა მიჩნეული აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული საკითხი, საბჭო არ იყო დარწმუნებული, რომ მოცემული პერსონალი შეძლებდა პროგრამის წარმატებით განხორციელებას. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრებს მათ კომპეტენციაში ეჭვი არ ეპარებოდათ, მაგრამ მათი აზრით, საკმარისი რაოდენობის არ იყო ადგილობრივი პერსონალი, ხოლო მხოლოდ მოწვეული პერსონალის ხარჯზე პროგრამა სათანადოდ ვერ განხორციელდებოდა.



ე. ნ. მ. მ. მ.

4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: კულტურის მენეჯმენტი

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მენეჯმენტის ბაკალავრი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 240

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

აცილება განაცხადეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: თამარ ბრეგვაძემ და რევაზ სოლომონიამ, ვინაიდან ისინი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან იმყოფებოდნენ შრომით ურთიერთობაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ნინო ლალანიძემ.

- ვინაიდან პროგრამა კულტურის სფეროს მენეჯმენტზე იყო ორიენტირებული სასურველი იქნებოდა კურიკულუმს დამატებოდა სალექციო კურსი ან მოდული ქართული ხალხური ხელოვნება, ტრადიციული რეწვის დარგები და მათი ისტორია, რაც არა მხოლოდ გააფართოებდა სტუდენტის თვალსაწიერს, არამედ, შესაძლებელი იქნებოდა მომავალში მისი წარმატებული საქმიანობის საფუძველიც გამხდარიყო და ამავე დროს, შეექმნა მისთვის მოტივაცია პოპულარიზაცია გაეწია და განევითარებინა ქართული კულტურის აღნიშნული ტრადიციები;

- არჩევით ბლოკში 6 კრედიტის მოცულობით გათვალისწინებული იყო პრაქტიკა კულტურის ორგანიზაციებში. აღნიშნული პროგრამა მკვეთრად იყო ორიენტირებული პრაქტიკაზე და ექსპერტთა ჯგუფის აზრით, შესაბამისად, სასურველი იქნებოდა კომპონენტი ყოფილიყო სავალდებულო და არა არჩევითი;

- აღსანიშნავი იყო, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის მოცულობა, მათ შორის პრაქტიკული კომპონენტისა და საბაკალავრო ნაშრომის, 6 კრედიტის ტოლი იყო. აბსოლუტურად იდენტური იყო ყველა სასწავლო კურსის შესწავლისათვის გათვალისწინებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო დრო. სასურველი იყო პროგრამის შემუშავებისას, თითოეული სასწავლო კურსისა თუ კომპონენტის მოცულობა, მის შესასწავლად საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო დრო



განგარიშებული ყოფილიყო საგნის მოცულობის, შინაარსის, სტუდენტთა დატვირთვისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;

- სილაბუსების უმრავლესობაში („ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“; „ბრენდინგის შესავალი“; „ეკონომიკისა და ბიზნესის სტატისტიკა“; „კულტურის მარკეტინგის საფუძვლები“; „საქართველოს საგადასახადო სისტემა“; „სტრატეგიული მენეჯმენტი“; „კანონმდებლობა კულტურის სფეროში“; „კულტურის ანატომია“; „კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის შესავალი“; „სატელევიზიო მენეჯმენტი“; „ფილმ წარმოების მენეჯმენტი“ და სხვ.), სასწავლო კურსის შინაარსში გამოჩენილი არ იყო ლექციის, სამუშაო ჯგუფში მუშაობისა თუ პრაქტიკული მეცადინეობების ხანგრძლივობა და თემატიკა. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველი იქნებოდა სილაბუსებში გამოჩენილიყო არა მხოლოდ სალექციო და სასემინარო საათები, არამედ დაკონკრეტებულიყო სალექციო თემატიკა და დეტალურად გაწერილიყო სტუდენტის ყოველკვირეული საქმიანობა სამუშაო ჯგუფში მუშაობისას.

- სასურველი იყო სასწავლო კურსების სილაბუსებში: „ბრენდინგის შესავალი“, „გაყიდვების მენეჯმენტი“, „კულტურის მარკეტინგის საფუძვლები“, „მეწარმეობა კულტურაში შესავალი“, „შესავალი კურსი ეკონომიკის საფუძვლებში“, „ოპერაციული მენეჯმენტი“, „ორგანიზაციული ქცევა“, „რეკლამირების ძირითადი პრინციპები“, „სოციალური მედია მარკეტინგის საფუძვლები“, „კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი“, ჯგუფური პროექტის/დავალების შეფასების კომპონენტში დეტალურად გაწერილიყო ჯგუფის თითოეული წევრის შეფასების ინდივიდუალური კრიტერიუმები, ისე, როგორც ეს იყო დიფერენცირებული საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში;

- სასურველი იყო კომპეტენციათა რუქაში მითითებული ყოფილიყო კომპეტენციები, რათა ნათლად გამოჩენილიყო რომელ კომპეტენციას გამოუმუშავებდა სტუდენტს კონკრეტული სასწავლო კურსი;

- სამაგისტრო პროგრამის მკაფიოდ გამოხატული სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველი იყო უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაეფორმებინა კულტურის სფეროს ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიც იყო: კინოცენტრი, გალერეები, ბიბლიოთეკები, თეატრები, ტელევიზიები, რადიო და სხვ. მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებში დეტალურად უნდა გაწერილიყო პროგრამის სტუდენტთა პრაქტიკის დეტალები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას;

- კურსდამთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სასურველი იყო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები გაფორმებულიყო უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებთან, რომლებიც ანალოგიურ პროგრამას ახორციელებდნენ, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლა, გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლება;

- ქართულენოვანი სახელმძღვანელოების დეფიციტის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა სალექციო კურსებში: „კულტურის ანატომია“ და „ცივილიზაციების, კულტურა, კულტურის გლობალიზაცია“ მითითებული ლიტერატურა შევსებულიყო შემდეგი ქართულენოვანი ლიტერატურით: ანა კლდიაშვილი - ძველი ეგვიპტე; ანტიკური საბერძნეთი - (საქართველო) წიგნი პირველი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა გახლდათ ახალი, მოხდა კულტურის საკითხების და ბიზნესის სინთეზი, დაცული იქნა ბალანსი, რომელიც უზრუნველყოფდა მენეჯერის მომზადებას კულტურის სფეროში. რაც შეეხებოდა ჯგუფურ შეფასებას სალექციო კურსებში ჩადებული იყო კომპონენტები, სადაც აფასებდნენ ჯგუფური სწავლების შედეგებს მაგ: ჯგუფური პრეზენტაცია, რაც გახლდათ იმის მაგალითი თუ რამდენად ჰქონდათ სტუდენტებს ჯგუფურად მუშაობის უნარი, თუმცა ინდივიდუალური შეფასების კომპონენტები



სხვა ასპექტებში ფიგურირებდა, როგორიც იყო შუალედური წერა, ინდივიდუალური პრეზენტაცია და ასევე ფინალური გამოცდა. არსებობდა ჯგუფური შეფასების სხვადასხვა მეთოდი რაც ნამდვილად დაადასტურებდა იმას, რომ მუშაობდა ჯგუფის ყველა წევრი, საბაკალავრო ნაშრომი მთლიანად იგებოდა პრაქტიკულ უნარებზე თუ როგორ ხორციელდებოდა თითოეული წევრის შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მემორანდუმებთან დაკავშირებით საკითხებით, კერძოდ მუხუმის გარდა სხვა დარგში რომ მონდომებოდა სტუდენტს პრაქტიკის გავლა, თუ ჰქონდა უნივერსიტეტს სხვა შეთავაზებების საშუალება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თანამშრომლობდნენ სხვადასხვა რადიოსთან, ტელეკომპანიებთან, ვინაიდან მათი აზრით, აღნიშნული სტრუქტურებიც განეკუთვნებოდნენ კულტურის სფეროს და საჭიროებდნენ ყურადღებას მენეჯმენტის კუთხით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია იყო გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: კულტურის მენეჯმენტი

განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კულტურის მენეჯმენტის მაგისტრი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 120

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

აცილება განაცხადეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: თამარ ბრეგვაძემ და რევაზ სოლომონიამ, ვინაიდან ისინი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან იმყოფებოდნენ შრომით ურთიერთობაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შენიშვნები საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ნინო ლალანიძემ.

- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის მოცულობა იყო ერთნაირი და 6 კრედიტის ტოლი. აბსოლუტურად იდენტური იყო ყველა სასწავლო კურსის შესწავლისათვის გათვალისწინებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო დრო. სასურველი იყო პროგრამის შემუშავებისას თითოეული სასწავლო კურსისა თუ კომპონენტის მოცულობა, მის შესასწავლად საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო დრო გაანგარიშებული ყოფილიყო საგნის მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით;

- აუცილებელი იყო არა თუ განსხვავებული ყოფილიყო ერთი და იგივე დასახელების სასწავლო კურსების მიზნები, თემატიკა და შედეგები ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში, არამედ სასურველი იყო თავად დასახელებებიც არ ყოფილიყო აბსოლუტურად იდენტური;

- სილაბუსების უმრავლესობაში: „ბიზნესის სტატისტიკა“, „გაყიდვების მენეჯმენტი“, „კვლევის მეთოდები“, „კორპორაციული მართვა“, „კულტურის მარკეტინგი“, „მეწარმეობა კულტურაში“, „ინტელექტუალური საკუთრება“, „კულტურის პოლიტიკა და ფინანსური მენეჯმენტი“, „კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი“, „სპონსორობა და თანხების მოზიდვა“, სასწავლო კურსის შინაარსში გამოჩნული არ იყო ლექციისა და სამუშაო ჯგუფში მუშაობის ხანგრძლივობა და თემატიკა. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველი იყო სილაბუსებში გამოჩნული ყოფილიყო არა მხოლოდ სალექციო და სასემინარო საათები, არამედ დაკონკრეტებული ყოფილიყო სალექციო თემატიკა და დეტალურად გაწერილიყო სტუდენტის ყოველკვირეული საქმიანობა სამუშაო ჯგუფში მუშაობისას;



- სასურველი იყო იმ სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლებშიც განსაზღვრული იყო ჯგუფური პროექტის/დავალების არსებობა („გაყიდვების მენეჯმენტი“, „კულტურის მარკეტინგი“, „მეწარმეობა კულტურაში“, „მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი“, „ოპერაციითა მენეჯმენტი“, „მასკულატურა და კომუნიკაციები“), დეტალურად გაწერილიყო ჯგუფის თითოეული წევრის შეფასების ინდივიდუალური კრიტერიუმები, ისევე როგორც ეს იყო დიფერენცირებული ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში;

- გამომდინარე იქედან, რომ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის დიდი ნაწილი ინგლისურენოვანი იყო ხოლო პროგრამით ინგლისურის სწავლება გათვალისწინებული არ იყო, სასურველი იყო მიღების წინაპირობად განსაზღვრულიყო ინგლისური ენის ფლობის დონე, რათა პროგრამაზე არ მოხვედრილიყო სტუდენტი, რომელიც საერთოდ არ ფლობდა ენას ან იმდენად დაბალი კომპეტენცია ჰქონდა, რომ ვერ შეძლებდა სილაბუსების უმრავლესობით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის ათვისებას და შესაბამისად, სილაბუსებითა და პროგრამით დაგეგმილ შედეგზე გასვლას;

- სასურველი იყო გადახედილიყო სამაგისტრო პროგრამის კომპეტენციითა რუქა, ვინაიდან ამ რუქის თანახმად სასწავლო კურსი „მასკულატურა და კომუნიკაციები“ კურსდამთავრებულს კომუნიკაციის უნარს არ გამოუმუშავებდა;

- სამაგისტრო პროგრამის მკაფიოდ გამოხატული სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველი იყო პროგრამაში გათვალისწინებული ყოფილიყო პრაქტიკა;

- სამაგისტრო პროგრამის მკაფიოდ გამოხატული სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველი იყო უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაეფორმებინა კულტურის სფეროს ისეთ ორგანიზაციებთან როგორიც იყო: კინოცენტრი, გალერეები, ბიბლიოთეკები, თეატრები, ტელევიზიები, რადიო და სხვ. მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებში დეტალურად უნდა გაწერილიყო პროგრამის სტუდენტთა პრაქტიკის დეტალები (პრაქტიკის კომპონენტის დამატების შემთხვევაში), რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას,;

- კურსდამთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სასურველი იქნებოდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები გაფორმებულიყო უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებთან, რომლებიც ანალოგიურ პროგრამას ახორციელებდნენ, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლა, გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ ერთი და იგივე დასახელების კურსები სასურველი იყო მიზნებით, შინაარსით და თავად დასახელებითაც განსხვავებული ყოფილიყო ერთმანეთისაგან. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული იყო ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ექსპერტების მიერ გავლილი იქნა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სილაბუსები. შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ გარკვეულ საგნებში მეორედებოდა თემატიკა, შედეგები გახლდათ სხვადასხვა, აღნიშნული შეცდომა ფიქსირდებოდა 4 საგანში. აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი დანართები მას წამოღებული ჰქონდა უნივერსიტეტიდან. ექსპერტმა განაცხადა პირველი და მეორე სემესტრის საგნების დასახელებები და თემატიკა იყო განმეორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არსებით საკითხს წარმოადგენდა მეხუთე რეკომენდაციის განხილვა, რომელიც ეხებოდა უცხო ენის სწავლებას, ვინაიდან საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, პროგრამაში მითითებული ძირითადი ლიტერატურის უმრავლესობა იყო ინგლისურენოვანი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისური ენის დონე არ იყო განსაზღვრული იქედან გამომდინარე, რომ დარგობრივი ტექსტის წაკითხვისათვის საკმარისად ითვლებოდა B1 დონე, შესაბამისად, ამაზე მაღალი დონის



მოთხოვნა მათი აზრით, არ იყო სავალდებულო. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ინგლისურენოვან ლიტერატურასთან ერთად გამოიყენებოდა ქართული რიდერები, სტუდენტს ასევე შეეძლო თავისუფალი არჩევითი კურსების ფარგლებში აედო სხვა პროგრამის ინგლისური ენის კურსი. ვინაიდან B1 გახლდათ ბაკალავრიატის საბაზისო დონე ამიტომ არ იქნა სავალდებულოდ განსაზღვრული სამაგისტრო საფეხურზე ინგლისური ენის სწავლება.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ინგლისური ენა თუ არ ეცოდინებოდა კულტურის მენეჯმენტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს, მისი აზრით, იგი დასაქმების ბაზარზე ვერ იქნება კონკურენტუნარიანი, ასევე ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა არ იქნებოდა საკმარისი სამაგისტრო კვლევის განსახორციელებლად. საბჭოს წევრების მოსაზრებით, საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს პროგრამა წარმოდგენილი სახით ვერ დააკმაყოფილებდა. ასევე სტუდენტები ინგლისური ენის სათანადო დონეზე არცოდნის გამო მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ საერთაშორისო პროექტებში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია გახლდათ გასათვალისწინებელი და უნივერსიტეტს ჰქონდა ამის რესურსი, რომ გაეთვალისწინებინა იგი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების ანალიზის საფუძველზე, მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ პროგრამა მომზადებული იყო ნაჩქარევად და არ იყო მზად აკრედიტაციისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე მუშაობა მიმდინარეობდა მთელი წლის მანძილზე და მის მომზადებაში ჩართულები იყვნენ სპეციალისტები, რომელთაც ჰქონდათ საერთაშორისო გამოცდილება ბიზნესის თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს: ლევან გორდეზიანმა და ნანა შათაშვილმა.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი გახლდათ დასკვნაში დაფიქსირებული რამდენიმე არსებითი ხასიათის შენიშვნა, კერძოდ, საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე არსებული საგნების შინაარსის დამთხვევისა და პროგრამაში ინგლისური ენის სწავლების გაუთვალისწინებლობის საკითხი.

სხდომაზე 15:05 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 15:25 საათზე.



საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დარჩენილი საკითხების განხილვა მოხდებოდა აკრედიტაციის საბჭოს შემდეგ სხდომაზე, რადგან საბჭოს რამდენიმე წევრს ობიექტური მიზეზების გამო უხდებოდა საბჭოს სხდომის დატოვება. შესაბამისად, საბჭო, კვორუმის არარსებობის გამო, არ იქნებოდა უფლებამოსილი განეხილა დარჩენილი საკითხები. ცენტრის შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა ლევან მადათოვმა განაცხადა, რომ გადადებული საკითხების განხილვა ჩაინიშნებოდა მომდევნო კვირაში, რაც წინასწარ ეცნობება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს.

სხდომა დასრულდა 15: 40 საათზე.

თავმჯდომარე
მაგდა მალრაძე



მდივანი
თუთა ნარმანია

